



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების  
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 2 23 0000440716



21/04/2023

**„სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისთვის  
„თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის“ პროფესიული  
გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“  
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების  
უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 თებერვლის №223074 გადაწყვეტილების  
ბათილად ცნობის შესახებ**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის გარშემო ახალი გარემოებების გამოვლენის და დამატებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60<sup>1</sup> მუხლის, მე-3 პუნქტის საფუძველზე,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ბათილად იქნას ცნობილი „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისთვის (ს/კ: 203851028) „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის /01517/“ პროფესიული გადამზადების პროგრამის

განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 თებერვლის №223074 გადაწყვეტილება.

2. შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი და განხორციელდეს პირველი სტანდარტის 1.10 ქვესტანდარტის ფარგლებში დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლა და „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის /01517/“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე საბჭოს მიერ საკითხის ხელახლა განხილვა.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 21 აპრილის №438748 ოქმის პირველი და მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალაშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა

მ. ზაქარეიშვილი